

# მონაცემთა შეგროვების საფუძვლები

## ონლაინ კურსის სილაბუსი

### ონლაინ კურსის აღწერა

ონლაინ კურსის მიზანია, მსმენელს შეასწავლოს კვლევის დაგეგმვის, მონაწილეთა შერჩევის, კვლევის ეთიკის საკითხების დაცვის, მონაცემთა შეგროვების შესავალი საკითხები. ონლაინ კურსი აერთიანებს სამ მოდულს:

1. კვლევის მეთოდოლოგიური (დიზაინის) საფუძვლები
2. კვლევის ინსტრუმენტები
3. კვლევის ეთიკის საფუძვლები - ბიოეთიკა

თითოეული ონლაინ მოდული შედგება პრე და პოსტ ტესტებისგან, რათა შეაფასოთ საკუთარი ცოდნა როგორც მოდულის დაწყებამდე, ისე მოდულის დასრულების შემდეგ. თითოეულ კითხვაზე უნდა მონიშნოთ ერთი სწორი პასუხი. პრე და პოსტ ტესტის მიზანია შეაფასოთ თუ რა ისწავლეთ ონლაინ მოდულის გავლის შემდეგ. თუკი არჩევანი გაწითლდება თქვენი პასუხი არასწორია, ხოლო თუ გამწვანდება-სწორია. ონლაინ მოდულის ძირითადი ნაწილი შედგება სლაიდებისგან, რომლებსაც თანდართული აქვს აუდიო ხმა ე.წ „ვოისოვერი“. ხმის აწევა-დაწევის დილაკზე დაჭერით შეგიძლიათ აკონტროლოთ ხმის სიმალლე ან საერთოდ გამორთოთ აუდიო. ონლაინ მოდულებს ასევე თან ერთვის რეკომენდირებული საკითხავი მასალები.

სრული კურსის გავლის შემთხვევაში, ხანგრძლივობა არის დაახლოებით 5 საათი. კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლების მოდული გრძელდება 2 სთ, ხოლო დანარჩენი მოდულები - 1 საათი და 30 წუთი. დამატებითი დრო არის საჭირო რეკომენდირებული/დამატებითი საკითხავი მასალისთვის.

ონლაინ კურსი განკუთვნილია ნარკოტიკების მომხმარებლებთან მომუშავე სპეციალისტებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, რომელთაც სურთ, გაიღრმავონ თეორიული ცოდნა კვლევის დაგეგმვის, ჩატარების, მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების მიმართულებით.

## მოდული #1 - კვლევის მეთოდოლოგიური (დიზაინის) საფუძვლები

### I. მოდულის აღწერა

მოდული მიზნად ისახავს კურსის მსმენელებს გააცნოს და შეასწავლოს კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები: კვლევის დაგეგმვა, სწორი დიზაინის შერჩევა, ეპიდემიოლოგიური კვლევის ტიპები, მონაწილეთა შერჩევის ტექნიკის განსაზღვრა.

## II. ამოცანები

მოდულის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მიღებული ცოდნის საფუძველზე, მსმენელს შეეძლება:

1. განასხვავოს კვლევის დიზაინები ერთმანეთისგან.
2. გაარჩიოს კვლევის სახეობები და იცოდეს თითოეული მათგანის მტკიცებულების სიძლიერის დონე.
3. კრიტიკულად შეაფასოს და სწორი ინტერპრატაცია გაუკეთოს სხვების მიერ ჩატარებულ კვლევებს.
4. გაარჩიოს შერჩევის ტექნიკები ერთმანეთისგან.
5. ჰქონდეს საბაზისო ცოდნა იმისათვის, რომ უფრო სიღრმისეულად შეისწავლოს კვლევის დაგეგმვა-ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები.

## III. მოდულის შინაარსი

### საკითხები

- რა არის კვლევის დიზაინი?
- რომელი დიზაინი გვჭირდება?
- ეპიდემიოლოგიური კვლევების ტიპების მტკიცებულებების სიძლიერე
- კვლევის ტიპები დროის მიხედვით
- ჯვარედინ-სექციური კვლევა
- კოჰორტული კვლევა
- შემთხვევა-კონტროლის კვლევები
- რანდომიზირებული კონტროლირებული კვლევა
- ლიტერატურის მიმოხილვა
- სისტემური მიმოხილვა და მეტა-ანალიზი
- გაიდლაინები
- ონლაინ გამოკითხვები
- კვლევის მონაწილეთა შერჩევა
- შერჩევის პროცესის საფეხურები
- შერჩევის ტიპები: ალბათური და არა-ალბათური შერჩევა
- რაოდენობრივი შერჩევა
- შერჩევა თვისებრივ კვლევაში

## IV. შეფასების მეთოდი

მოდულის დაწყებამდე მსმენელი გაივლის პრე-ტესტს, რათა შეამოწმოს თავისი ცოდნა მოდულში მოწოდებული თემების შესახებ. მოდულის დასრულების შემდეგ მსმენელს გასავლელად გამოუჩნდება იგივე ტესტი პოსტ-ტესტის სახით, რათა შეძლოს, შეადაროს პოსტ-ტესტში მიღებული ქულა პრე-ტესტის შედეგს.

პრე და პოსტ ტესტის მიზანია, მსმენელმა შეაფასოს თუ რა ცოდნა შეიძინა მოდულის დასრულების შემდეგ.

## V. დავალებების მაგალითები

18 კითხვისგან შემდგარი პრე და პოსტ ტესტი

### მოდული #2 - კვლევის ინსტრუმენტები

#### I. მოდულის აღწერა

მოდული მიზნად ისახავს კურსის მსმენელებს გააცნოს და შეასწავლოს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტები, მათი შემუშავება და ადაპტაცია.

#### II. ამოცანები

მოდულის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მსმენელს შეეძლება:

- განასხვავოს ერთმანეთისგან რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტები
- იცოდეს რა ინსტრუმენტები არსებობს დარგში ქართულ ენაზე
- გაარჩიოს ერთმანეთისგან კვლევებში გამოყენებული კითხვების ტიპები
- ჰქონდეს საბაზისო ცოდნა კითხვარის ადაპტირების პროცესის შესახებ

#### III. მოდულის შინაარსი

##### საკითხები

- თვისებრივი კვლევის მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტები
  - ინტერვიუ
  - დაკვირვება
  - ფოკუს-ჯგუფი
- რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტები
  - გამოკითხვა
  - კითხვარი
- რა ტიპის კითხვებს ვიყენებთ თვისებრივ კვლევაში?
- რა ტიპის კითხვებს ვიყენებთ რაოდენობრივ კვლევაში?
- კითხვარის ადაპტაცია/ადაპტირების საფეხურები
- ქართულ ენაზე არსებული ინსტრუმენტები
  1. ზოგადი მოსახლეობის კვლევა (GPS)
  2. ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკის მოხმარების შემსწავლელი ევროპის სასკოლო კვლევა (ESPAD)

3. ქცევაზე ზედამხედველობის კვლევა (BSS)
4. რისკის შეფასების ბატარეა (RAB)
5. დამოკიდებულების სიმძიმის ინდექსი (ASI)
6. ალკოჰოლის, თამბაქოს და ნივთიერების მოხმარების სკრინინგ-ტესტი (ASSIST)
7. ალკოჰოლის ჭარბი ოდენობით მოხმარების დასადგენი ტესტი (AUDIT)

#### IV. შეფასების მეთოდი

მოდულის დაწყებამდე მსმენელი გაივლის პრე-ტესტს, რათა შეამოწმოს თავისი ცოდნა მოდულში მოწოდებული თემების შესახებ. მოდულის დასრულების შემდეგ მსმენელს გასავლელად გამოუჩნდება იგივე ტესტი პოსტ-ტესტის სახით, რათა შეძლოს, შეადაროს პოსტ-ტესტში მიღებული ქულა პრე-ტესტის შედეგს.

პრე და პოსტ ტესტის მიზანია, მსმენელმა შეაფასოს თუ რა ცოდნა შეიძინა მოდულის დასრულების შემდეგ.

#### V. დავალებების მაგალითები

7 კითხვისგან შემდგარი პრე და პოსტ ტესტი

#### VI. რეკომენდირებული საკითხავი

1. ზოგადი მოსახლეობის კვლევა (GPS)
2. ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკის მოხმარების შემსწავლელი ევროპის სასკოლო კვლევა (ESPAD)
3. ქცევაზე ზედამხედველობის კვლევა (BSS)
4. რისკის შეფასების ბატარეა (RAB)
5. დამოკიდებულების სიმძიმის ინდექსი (ASI)
6. ალკოჰოლის, თამბაქოს და ნივთიერების მოხმარების სკრინინგ-ტესტი (ASSIST)
7. ალკოჰოლის ჭარბი ოდენობით მოხმარების დასადგენი ტესტი (AUDIT)

## მოდული #3 - კვლევის ეთიკის საფუძვლები - ბიოეთიკა

### I. მოდულის აღწერა

მოდული მიზნად ისახავს კურსის მსმენელებს გააცნოს და შეასწავლოს საერთაშორისოდ აღიარებული ეთიკური სტანდარტები, რომელიც უნდა დაიცვას მკვლევარმა ადამიანების მონაწილეობით ჩატარებული კვლევების დროს.

### II. ამოცანები

მოდულის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მსმენელს შეეძლება:

1. იცოდეს თუ რატომ არის ეთიკა მნიშვნელოვანი ადამიანების მონაწილეობით ჩატარებულ კვლევებში
2. იცოდეს ადამიანების მონაწილეობით ჩატარებული კვლევების ეთიკურობის ისტორია და ბიოეთიკის განვითარების საფეხურები
3. ესმოდეს საერთაშორისოდ აღიარებული ეთიკის ძირითადი სტანდარტები, რომელიც უნდა დაიცვას მკვლევარმა ადამიანების მონაწილეობით ჩატარებული კვლევის დროს
4. დაიცვას კვლევაში ჩართული ადამიანები შესაძლო ზიანისგან და არ ავნოს მათ
5. ამოიცნოს არაეთიკური კვლევის ნიშნები
6. დაგეგმოს და ჩაატაროს კვლევა, რომელიც დააკმაყოფილებს საერთაშორისოდ აღიარებული ეთიკის პრინციპებსა და სტანდარტებს
7. მიმართოს ინსტიტუციური განხილვის საბჭოს და მიიღოს კვლევის ჩატარების უფლება
8. მიიღოს ინფორმირებული თანხმობა კვლევის მონაწილეებისგან
9. დაიცვას კვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემების კონფიდენციალურობა და ანონიმურობა

### III. მოდულის შინაარსი

#### საკითხები

1. რატომ არის ეთიკა მნიშვნელოვანი?
2. პოტენციური რისკისა და სარგებლის თანაფარდობის დაბალანსება
3. ნურემბერგის კოდიის ისტორია
4. ნურემბერგის კოდი
5. ბელმონტის ანგარიში: სამი უმთავრესი პრინციპი, რომელიც დაცული უნდა იყოს ადამიანების მონაწილეობით ჩატარებულ კვლევაში
6. ბიოეთიკის კომისია
7. ინფორმირებული თანხმობის ფორმა
8. ინფორმირებული თანხმობის მიღების პროცესი
9. მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობა კვლევაში
10. ბავშვების მონაწილეობით ჩატარებული კვლევა
11. კომპენსაცია კვლევის მონაწილეებისათვის

#### IV. შეფასების მეთოდი

მოდულის დაწყებამდე მსმენელი გაივლის პრე-ტესტს, რათა შეამოწმოს თავისი ცოდნა მოდულში მოწოდებული თემების შესახებ. მოდულის დასრულების შემდეგ მსმენელს გასავლელად გამოუჩნდება იგივე ტესტი პოსტ-ტესტის სახით, რათა შეძლოს, შეადაროს პოსტ-ტესტში მიღებული ქულა პრე-ტესტის შედეგს.

პრე და პოსტ ტესტის მიზანია, მსმენელმა შეაფასოს თუ რა ცოდნა შეიძინა მოდულის დასრულების შემდეგ.

#### V. დავალებების მაგალითები

1. 10 კითხვისგან შემდგარი პრე და პოსტ ტესტი
2. კვლევების მაგალითების წაკითხვა და ეთიკური პრინციპების დარღვევის ფაქტების ამოცნობა
  - a) სავარჯიშო 1. სან-ანტონიოს კონტრაცეფციის კვლევა
  - b) სავარჯიშო 2. ჩაის სახლის კვლევა
  - c) სავარჯიშო 3. ჰეპატიტის კვლევა

#### VI. რეკომენდირებული საკითხავი

კვლევის ეთიკის საფუძვლები - ბიოეთიკა, რომელიც ატვირთულია სასწავლო მასალებში